№ 258
სამშაბათი, 28 ნოემბერი, 1900 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 258
სამშაბათი, 28 ნოემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ნინო პავლეს ასული აბესალაშვილისა და ტასია თადეოზის ასული და პავლე გიორგის ძე ბურჯანაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელის ქმრისას, ხოლო დანარჩენნი სიძის, ახალ-სენაკის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის

**სპირიდონ მიხეილის ძის აბესალაშვილისას.**

მიცვალებულს ახალ სენაკიდგან 28 ნოემბერს წაასვენებენ ქ. ქუთაისს, არქიერის გორის სასაფლაოზედ დასაკრძალავად ამავე დღეს. (1—6.—1)

დეკემბრის 3-ს მოხდება

**წლიური კრება**

„მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოებისა“ ს. მაჩხაანში.

საგანი კრებისა:

1, წლიურ ანგარიშის განხილვა.

2, დეპოს თანხის გაფართოებაზედ მოლაპარაკება.

3, გამგეობის წევრის ამორჩევა.

(2—231—2)

**კერძო კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**სალამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ,

**სალამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელობოლოვი**—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა: თიონეთის მაზრის ფშავ-ხევსურეთის ნაწილის პოლიციის ბოქაული თავ. ჯანდიერი თელავის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად. დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ახალქალაქის მაზრის სამმართველოს შტატს გარეშე მყოფი მოხელე მილიციის პრაპორშჩიკი მუსტაფა-ბეგ-ფაგრატ-ბეგ-ზადე ფალავანდიშვილი.

# ახალი ამბავი

*** ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს მთავარ მკურნალმა ბ-ნმა პავლოვსკიმ ამ წლის აგვისტოშივე მოხსენება წარუდგინა კავკასიის სამკურნალო გამგეობას. ბ-ნი პავლოვსკი სწერს მოხსენებაში, რომ სხვა-და-სხვა კუთხიდგან ჰგზავნიან ცოფიან პირუტყვებისაგან ნაკბენ კაცებს მიხეილის საავადმყოფოში განკურნებისათვის. ამ კაცებს ხშირად არავითარი ავადმყოფობა არ ეტყობათ და დიდხანს სცხოვრობენ საავადმყოფოში და წესიერებას არღვევენ. ამის გამო ბ-ნი პავლოვსკი სთხოვდა სამკურნალო გამგეობას, ეშუამდგომლა მთავრობის წინაშე, რომ ცოფიან პირუტყვთა ნაკბენნი, ქალაქს გარეშე მცხოვრებნი, საავადმყოფოში-კი არ მოეყვანათ, არამედ კერძო ბინებში ანუ ღამის თავშესაფარებში დაეყენებინათ ქალაქის მკურნალთა ზედამხედველობის ქვეშ. ეს მოხსენება თავის გარდაწყვეტილებითურთ სამკურნალო გამგეობას კავკასიის მთავარ-მართებლისთვის წარუდგენია განსახილველად. მისს ბრწყინვალებას, თავ. გოლიცინს განკარგულება მოუხდენია, რომ მიხეილის საავადმყოფოში მხოლოდ ის ავადმყოფნი მიიღონ ხოლმე, რომელთაც ცოფიანობის აშკარა ნიშანი აღმოაჩნდებათ, დანარჩენნი-კი კერძო ბინებში, ანუ ღამის თავშესაფარებში მოათავსონ.

*** როგორც ვუწყით, მომავალ წელს ტფილისში კავკასიის მეაბრეშუმეთა კრება მოხდება. ამ კრებას ფინანსთა სამინისტროს მხრივ დაესწრება საქარხნო ინსპექტორი ლიტვინოვ-ფალინსკი, რომელსაც დავალებული ექმნება აბრეშუმის მრეწველობის მდგომარეობის შესწავლა.

*** ტფილის-ყარს-ერევნის რკინის გზის განსაგრძობად 1901 წლისათვის ხაზინიდგან 2 მილიონ მანეთს თხოულობენ. ამ გზას დაამთავრებენ 1901 წელს.

*** 24 ნოემბერს გზათა მთავარ ინსპექტორს ინჟენერს გორჩაკოვს

# ფელეტონი

## ბელგიაში მოგზაურობა *)

(საკუთარის თანამშრომლისაგან)

### IV

წვრილ მეურნეთა გამრავლება ინგლისსა, საფრანგეთსა და გერმანიაში. წვრილ მრეწველობის გაძლიერება ინგლისსა და გერმანიაში. სასოფლო-სამეურნეო მოძრაობა ბელგიაში. გლეხთა კოოპერაციები ბელგიაში. საქონლის მოვლა-მოშენება შვეიცარიაში. მოძრავი სამეურნეო სკოლები ბელგიაში.

მარტო ბელგიაში არ იზრდება წლითი-წლობით წვრილ მესაკუთრე გლეხთა რიცხვი. ყველგან, სადაც-კი ინდუქტიურმა მეცნიერებამ—ხოლო ინდუქციის გარეშე მეცნიერება არ არის—ხელი მოჰკიდა წვრილ მიწათმფლობელობის სიკვდილ-სიცოცხლის საქმის გამოკვლევას, ერთსა და იმავესა ვხედავთ—შემცირების ნაცვლად წვრილ მესაკუთრეთა რიცხვი მრავლდება. იტალიასა, ინგლისსა, გერმანიასა, საფრანგეთში სტატისტიკამ გააბათილა არა მეცნიერული, მეტაფიზიკურად და დიალექტიკურად დამტკიცებული ცრუ კანონები **)

საყურადღებო მოვლენაა: ბელგიასა და ინგლისში, ამ ყველაზედ უფრო მიწის სიმცირით ცნობილსა და ინდუსტრიით განვითარებულს კუთხეებშიაც-კი წვრილ მესაკუთრეთა რიცხვი თანდათან უფრო მრავლდება. ინდუსტრიაში ინგლისსა და ბელგიას გერმანია და საფრანგეთი მისდევენ და იქაც ამასვე ვხედავთ.

ინგლისში, მაგალითად, არა თუ წვრილ კაპიტალისტთა, წვრილ მეურნეთა რიცხვიც გაძლიერდა ამ რიგად:

| | | |
| --- | --- | --- |
| 1875 | წელს იყო . . . . | 389,641 |
| 1880 | „ „ . . . . | 391,429 |
| 1885 | „ „ . . . . | 392,908 |
| 1889 | „ „ . . . . | 409,422 |
| 1895 | „ „ . . . . | 423,598, |

ე. ი. 20 წლის განმავლობაში 33,657 წვრილი მეურნე მოემატა.

საფრანგეთში, სადაც მაიორატი არ არსებობს, უფრო მეტად მრავლდება წვრილ მეურნეთა რიცხვი. ათის წლის განმავლობაში (1882—1892 წლ.) ეს რიცხვი 5,672,000-დგან 5,702,000-მდე ავიდა, ე. ი. 30,000 მეურნე მოემატა.

მაგრამ ყველაზედ საყურადღებო მოვლენას გერმანიაში ვხედავთ, ამ დიალექტიკურ და ცრუ-კანონების სამშობლოში. აი ციფირები 1895 წლის აღწერით:

| | 1882 წელს იყო: | 1895 წ. გახდა: |
| --- | --- | --- |
| წვრ. მემ.— — | 3,061,831 | 3,23,169 |
| წვრ. მესაკ. გლეხი | 981,407 | 1,016,239 |
| საშ. მესაკ. გლეხი | 926,605 | 998,701 |
| მოემატა: პირველს — — | | 173,338 |
| „ მეორეს — — — | | 34,832 |
| „ მესამეს — — — | | 72.096 |
| | სულ | 280,166 |

სულ 13 წლის განმავლობაში მოემატა 280,166 მემამულე, წელიწადში - 21,551; დიალექტიკოსნი-კი ანდერძს უგებდნენ წვრილ მიწადმფლობელობას!

მეორეს მხრივ საოცარია, რა მცირედ ემატება მსხვილ მემამულე გლეხთა რიცხვს. ასეთი მემამულე

| 1882 წელს იყო: | 1895 წ. გახდა: | მოემატ. |
| --- | --- | --- |
| 281,510 | 281,736 | 226 |
| ძალიან მსხვილი მემამულე იყო: | | |
| 24,991 | 25,057 | 66 |
| | | 292 |

ე. ი. 13 წლის განმავლობაში მსხვილ მემამულეთა რიცხვს მიემატა სულ 292.

მაგრამ ეს კიდევ არაფერია. აღმოჩნდა, რომ თვით ინდუსტრიაშიაც-კი წვრილი, შინა-მრეწველობა არ ისპობა, პირ-იქით ძლიერდება კიდეც. ვინ არ იცის, რომ ინგლისი მთელი საუკუნეა განთქმულია მსხვილის მრეწველობით. მერე რასა ვხედავთ იქ? ბოლო მოუღეს თუ არა მსხვილმა კაპიტალისტებმა, მდიდარმა ქარხნის პატრონებმა წვრილებს? სულაც არა. სცოცხლობენ და ჰყვავიან დღეს ეს წვრილი მწარმოებელნი, მაგალითად, ბამბეულობის სამანუფაქტურო წარმოებაში, როგორც ეს დაამტკიცა ბრწყინვალე გამოკვლევაში ინდუქტიურმა მეცნიერმა (Small Industries of Britain. აგვისტო 1900 წ. Nineteenth Century.)

1897 წელს ინგლისში ბამბეულობის საწარმოები ქარხანა იყო:

| | | |
| --- | --- | --- |
| ისეთი, სადაც 500 მუშაზედ მეტი მუშაობდა | . . | 200 |
| „ „ | 200-დგან 500 მუშა | 660 |
| „ „ | 100-დგამ 150-მდე. | 1,480 |
| „ „ | 50-დგან 100-მდე. | 1,380 |
| „ „ | 50-ზედ ნაკლები იყო | 1,410 |

არჩევს რა საქარხნო წარმოების ყველა დარგს, ავტორი ამ სიტყვებით ამთავრებს:

„ინგლისი, როგორც სხვა ქვეყნები, 75 წლის „ინდუსტრიის კონცენტრაციის“ შემდეგ, ისევ იმ გვარ სახელმწიფოდ დარჩა, სადაც წვრილი მრეწველობა დღითი-დღე მატულობს, იზრდება და ძლიერდება... მთელის სახელმწიფოს მუშათა ნახევარი წვრილ ინდუსტრიაში მუშაობს“.

უფრო გასაოცარია „წვრილთა“ გამრავლება გერმანიის მრეწველობაში. იმავე 1895 წლის აღწერამ გვაჩვენა, რომ სავაჭრო და ისეთი საქმე, რომელიც გადაზიდვა-გადმოზიდვას ადგია, იყო:

| | 1882 წელს: | 1895 წ.: | მოემატა: |
| --- | --- | --- | --- |
| 2 მოსამსახურიანი | 411,509 . | . 467,656 . | 56,147 |
| 3-დგან 5-მდე „ | . 176,867 . | . 342,112 . | 165,245 |
| 50-ზედ მეტი „ | . 25,619 . | . 62,056 . | 36,437 |

აქედგანა სჩანს, რომ წვრილ მწარმოებელთა რიცხვი გაიზარდა, ხოლო თუ მსხვილთა რიცხვიც ორჯელ მეტი გახდა, ამით წვრილებს არაფერი დაჰკლებიათ, თუ დააკლდა ვისმეს რამე, ისევ მომხმარებელთ.

ყველა ზემოდ ნათქვამიდგან და აგრეთვე წინა ფელეტონში მოყვანილ ცნობებიდგან სჩანს, რომ კაპიტალისტები ერთმანეთს არ ანადგურებენ, წვრილი წარმოება ებრძვის და უმაგრდება მსხვილს, გლეხობის გაბოგანოვებას, როგორც ბუნების, სოციოლოგიისა და პროგრესის კანონს, ვერა ვხედავთ და ვერც დავინახავთ... ხალხთა ასეთის გაბოგანოვების „აუცილებლობა“ და სიკეთე ამ აუცილებლობისაგან წარმომდგარი მხოლოდ ნაყოფია დიალექტიკურ მეტაფიზიკოსთა ოცნებისა და სხვა არაფერი...

საკეთილო და სასიხარულოა ეს, მაგრამ უფრო სასიხარულო იქნება,

*) იხ. „ივერია“ № 248.

**) მეტი არ იქმნება მოვაგონოთ მკითხველს, რომ თვით გეგელი თავისს „ლოგიკა“-ში ამბობს: დიალექტიკას ხშირად საკუთარ უვიცობისა და უცოდნელობის დასაფარავად ხმარობენ; დიალექტიკის შემწეობით შეიძლება საგნის დამტკიცებაც და იმის უარ-ყოფაცაო.

ყარსის გზიდგან დაბრუნების დროს განგებ გაუგზავნია დეპეშა ტფილისში — გზაზედ უბედურება მოხდაო. ბ-ნს გორჩაკოვს უნდოდა თურმე შეეტყო, რკინის გზის გამგეობა დაუყოვნებლივ შემწეობას აღმოუჩენს თუ არა რკინის გზაზედ უბედურების დროს დაშავებულ მგზავრთაო. დეპეშის მიღებისათანავე გამგეობას გაუგზავნია საგანგებო სასანიტარო მატარებელი დაშავებულთათვის შემწეობის აღმოსაჩენად.

*** პეტერბურგში მყოფმა ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრმა ი. ა. ივანოვმა დეპეშით აცნობა ქალაქის მოურავს, რომ საერო განათლების სამინისტრომ, მეორედ განიხილა-რა შუამდგომლობა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიასთან პარალელურ კლასების გახსნის შესახებ, შეიწყნარა ეს შუამდგომლობაო.

*** როგორც „კავკ.“ გადმოგვცემს, ტფილისში არსდება ახალი სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც აზრად ბაქოს გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში ახლად აღმოჩენილ გოგირდის მადნების წარმოება ექმნება. საზოგადოებას ძირის თანხად 400 ათასი მანეთი ექმნება.

*** ოთხშაბათს, 29 ნოემბერს, სახაზინო თეატრში საოპერო წარმოდგენა იქმნება გამართული, რომლის შემოსავალსაც გადასდებენ ტფილისის დედათა 1 და 2 გიმნაზიების ღარიბ მოსწავლეთა შესაწევად და აგრეთვე პირველ გიმნაზიასთან საზოგადო საცხოვრებლის გასამართავად.

*** შავი-ქვის მწარმოებელთა კრების საბჭომ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას 1000 მანეთი გამოუგზავნა მომავალ სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გასამართავად. საზოგადოების საბჭომ 24 ნოემბერს დაადგინა მადლობა გარდაუხადოს შავი-ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს შემოწირულებისათვის.

*** განზრახვა აქვთ გამართონ გორის მაზრაში ორი სასოფლო ქსენონი, რომელთა შენახვასაც სოფლის საზოგადოებანი ჰკისრულობენ.

*** „ცნ. ფურ.“-ი სწერს: „ჩვენ გადმოგვცეს, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას განუზრახავს დაუზღვეოს პატარა თანხა (1500—2000 მან.) ახლად გარდაცვალებულის ქართული სცენის მუშაკის კოლა გალუსტოვის მცირე წლოვანს შვილსაო“.

*** როგორ „აჰ. მიმ.“-ს სოხუმიდგან ატყობინებენ, ადგილობრივი პოლიცმეისტერი ბ-ნი ლაკერბაია ოჩემჩირის მომრიგებელ შუამავლად დაუნიშნიათ.

*** ამავე გაზეთის სიტყვით, ტფილისის საბოტანიკო ბაღში მოუმზადებიათ 10 ათასი სანერგე კავკასიის საუკეთესო ბროწეულისა. ამ სანერგეებს გაზაფხულზედ სოფლის მეურნეებს დაურიგებენ.

*** „იასლის“ საზოგადოების გამგეობას გარდაუწყვეტია გამართოს მცირე-წლოვან ბავშვთათვის მეორე თავშესაფარი. თავშესაფარს გამართავენ დიდუბესა ან ნაძალადევში პირველ ხანს 20—30 ბავშვისათვის.

*** ქუთაისი. 23 ნოემბერს დაიწყო აქ ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა კრება, გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებლის თავ. დ. ო. ნიჟარაძის თავმჯდომარეობით. კრების წინ თავმჯდომარემ მოახსენა კრებას ხელმწიფე იმპერატორის განკურნების ამბავი და აგრეთვე ვარშავის გენერალ გუბერნატორის უგან. თავადის იმერეთინსკის გარდაცვალება. კრების მინდობილობით თავმჯდომარემ მილოცვის დეპეშა გაჰგზავნა მისს უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის სახელობაზედ. დეპეშა გაეგზავნა აგრეთვე თავ. იმერეთინსკის ქვრივს, რომელშიაც სამძიმარს უცხადებს ქმრის გარდაცვალებისა გამო. მეორე დღეს მოხდა არჩევანები რაჭისა და ოზურგეთის მაზრის წინამძღოლთა და მათ კანდიდატებისა. რაჭის მაზრის წინამძღოლად არჩეულ იქმნა დიმიტრი ყიფიანი, კანდიდატებად თავ. კ. გ. წულუკიძე (17 თეთრი კენჭი ამოუვიდა და 2 შავი) და თავ. მ. მ. ჯაფარიძე (17 თ. 2 შ.). ოზურგეთის მაზრის წინამძღოლად — თავ. კ. ერისთავი, კანდიდატად — თავ. ვახტანგ გურიელი. მესამე დღეს, 25 ნოემბერს, აარჩიეს გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობაზედ — თავ. სიმონ წერეთელი (144 თეთრი და 12 შავი კენჭი ამოუვიდა) და თავ. ნიკ. ყ. თავდგირიძე (88 თეთრი და 58 შავი).

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორად ნამყოფი არქიმანდრიტი გერმოგენი, სარატოვის ეპისკოპოსად დანიშნული, ამ დღეებში გამოეთხოვა სემინარიის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს და პეტერბურგში წავიდა, სადაც ეპისკოპოსად ხელ-დასმულ იქმნება.

*** დ. ახალი-სენაკი. პარასკევს, 24 ნოემბერს, მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ, ახალ სენაკში გარდაიცვალა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის გეოგრაფიისა და ანგარიშის მასწავლებელი სპ. გ. აბესალაშვილი. განსვენებული, როგორც მასწავლებელი, ჯეროვნად მომზადებული, მტკიცე და შეურყეველის ხასიათისა იყო; ამის გამო მისმა უდროოდ დაკარგვამ, როგორც მისს ამხანაგებსა და მოსწავლეებში, აგრეთვე მთელს სენაკში დიდი მწუხარება გამოიწვია.

*** 25 ნოემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატას განუხილავს თხოვნა თავ. შიხი ტუსიშვილისა, რომელიც თხოულობდა საპატიმროდგან განთავისუფლებას. თავ. ტუსიშვილის თხოვნა პალატას უყურადღებოდ დაუტოვებია.

*** ტფილისის გუბერნიის მკურნალის თანაშემწე ბ-ნი მაჭავარიანი სიღნაღში გაუგზავნიათ ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის განყოფილების სესსიის ექსპერტად.

*** ს. მუხრანში საქონლის ჭირი გაჩენილა.

*** ტფილისის საბოქაულოს ბევრს ადგილას ძალიან მრავლად მინდვრის თაგვი გაჩენილა.

*** როგორც „კავკ.“ ატყობინებენ, ბორჩალოს მაზრაში აი უკვე სამი წელიწადია სოფლის მასწავლებლები ჯამაგირს 3—4, და ხან 6-8 თვეს შემდეგ იღებენ თურმე. ეს გარემოება დიდს გაჭირვებაში აგდებს მასწავლებელთ.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ გაუგზავნა პოლიცმეისტერს უწყებანი ქალაქის უძრავ ქონებათა შესახებ, რომელთა პატრონთაც დარჩენილი სახელმწიფო და საერო გარდასახადი არ გაუსტუმრებიათ 1900 წლის 15 ნოემბრისათვის, და სთხოვა განკარგულება იქმნეს მოხდენილი ამ დარჩენილ გარდასახადის მოსაკრებად.

*** ლეჩხუმი. წრევანდელი წელიწადი ლეჩხუმელ მეურნეთათვის ვერაფერი სასარგებლო იყო. სწორედ იმ დროს, როდესაც ჭირნახული უნდა დათესილიყო, ხან წვიმები დაიჭირა და ხანაც გვალვა, რამაც ხვნა-თესვა ძლიერ შეაფერხა. ძლივს-ძლივობით მარცვალი მიწას მიაბარეს, რომ ცამ იგრიალა, მოუშვა ხშირი და გადუღებელი წვიმები და ჭირნახული სრულიად გაანადგურა, წალეკა. ასე გაიარა თითქმის უმეტესმა ნაწილმა ზაფხულისამ. ამის გამო პურს წელს ლეჩხუმში ძლიერ ნაკლები გამოსავალი ჰქონდა; სიმინდიც მხოლოდ ბარად მოვიდა ცოტა რიგიანი, თორემ მთის ადგილას ნათესმა სულ უქმად ჩაუარათ... გრილი ზაფხულისა და გადუღებელ წვიმებისა გამო, რისაც შემდეგ სიცივემაც უსწრო, ყურძენმა სიმწიფე ვერ მიითავა და თითქმის მთელს ლეჩხუმში მჟავე ღვინოები დადგა. სვანეთშიაც (დაშხეთში) ძლიერ ცუდი დრო დაუდგათ საწყალს სვანებს. ჯერ იყო, ეს რვა-ცხრა წელიწადია დაშხეთში ხეირიანი მოსავალი არა ყოფილა და წრევანდელმა წელმა ხომ მთლად ხელი მოუთავათ: ზოგი სოფელი სეტყვამ გაანადგურა და ზოგიც იმან დაღუპა, რომ გრანიცის სიმინდს დაუწყეს თესვა, რომელიც ამ მთა ადგას სიმწიფეს ვერ ისრულებს. პურსა და ქერსაც ნაკლები გამოსავალი ჰქონდა წელს დაშხეთში.

*** ჩხუტელი (ლეჩხუმის მაზრა). 18 ნოემბერს ს. ჩხუტელში ერთი საზარელი ამბავი მოხდა: რ. ჩარკვიანის საბძელს, საიდგანღაც ცეცხლი გაუჩნდა და საბძელს მწოლარე ჩარკვიანის მოჯამაგირე დაიწვა. საწყალს ძილისათვის თავი ვეღარ დაეღწია და დილას მკვდარი უნახავთ: თავი და ტანის რამდენიმე ასოებიც სრულებით წამწვარი ჰქონია.

*** ს. ქედა, (ქვედა აჭარა). წრეულს ჩვენში სიმინდის მოსავალი შარშანდელზედ ბევრად ნაკლები იყო. ამის გამო ღარიბს ხალხს ზამთრის სამყოფი სარჩო არ მოჰკვლია. ეჭვი არ არის, გაზაფხულზედ უმეტეს ნაწილს სარჩო შემოელევა და შიმშილობას გამოივლიან. წრეულს ხეხილიდგან კაპეიკის სარგებლობა არავის უნახავს. ვაშლი, მსხალი და სხ. სახსენებლად არსად იყო, მხოლოდ ერთს-და ვმადლობთ ღმერთსა, რომ ყურძენი საკმაოდ ბლომად მოგვივიდა; აგერ ათი წელიწადია ამოდენა ყურძნის მოსავალი არა ყოფილა ჩვენში. ბათუმიდგან ვაჭრები სულ ს. ქედის მახლობლად ამოვიდნენ და აქ გახსნეს ღვინის მარნები. სულ უკანასკნელმა ვაჭარმა ათასობითა და ორი ათას ფუთობით ღვინო წაიღო ბათუმში. კიდევ ამისი მადლობელი უნდა იყოს ღარიბი ხალხი, რომ ცოტა წელი გაისწორა და ცოტაშეიდს საზამთროდ ჩააცვა რამე.

### კნ. ბ. ა. ავალიშვილის დასაფლავება.

კვირას, 26 ნოემბერს, დაასაფლავეს უდროოდ გარდაცვალებული ქართულის სცენის დაუღალავი არტისტი ქალი კნ. ბარბარე ანდრიას ასული ავალიშვილისა. დილის 9 საათზედ სოლოლაკის სულით ავადმყოფთა ქსენონიდგან დიდ-ძალ სა-

---

თუ სოფისტების მიერ გზა-კვალ აბნეულნი პატიოსანნი კაცნი მოისურვებენ ყველაფრის შემოწმებას, შემოწმებას თავიანთის ცოდნისა, დიალექტიკოსთა ნაწერებისას და ამ სტრიქონებისას. საკეთილო იქმნება ეს იმიტომ, რომ „Чумазый“ სა და კაპიტალიზმის ბატონობის მოწოდების ნაცვლად ისინი წავლენ ბნელით მოცულ და სიღარიბით გაჭირვებულ გლეხობის შესაწევრად; მიუტანენ ცოდნას, მეცნიერებას, ასწავლიან ერთად მოქმედების ისეთ საშუალებებს, როგორიც ბელგიაში გლეხობამ შემოიღო და რომელთა შესახებაც მიამბეს ჩემმა შემთხვევითმა თანამგზავრმა, სწავლულმა მეგობრებმა და, დასასრულ, ინდუქტიურმა სტატისტიკამ.

—

ბევრი, ძალიან ბევრი საგულისხმო გავიგე ამათგან ჩვენ ქართველთათვის, განსაკუთრებით მემამულეთა და სოფლელთათვის.

წინა ფელეტონში აღნიშნულ ვითომდა კანონების წყალობით, პროგრესისა და ხალხთა კეთილდღეობის მომხრენი ბელგიაშიაც გაურბოდნენ და ერიდებოდნენ გლეხობას. — „იმას ხომ გაბოგანოვება და დაღუპვა მოელისო“, ჰფიქრობდნენ ეს კაცები. „ამასთან, როგორც განაცხადა ამდენის კანონების გამომგონმა ენგელსმა, გლეხობა მოუხეშავი, უგუნური, უვიცი რამ არის, და თავდადებულ კაცთა მეცადინეობამ — გაანათლოს, გააკაცოს გლეხობა — უნაყოფოდ ჩაიარა“.

ასე ამბობდნენ პროგრესის მეგობარნი, გაურბოდნენ სოფელს და გლეხს იეზუიტებსა და კათოლიკეთა სამღვდელოებას უტოვებდნენ. მაგრამ ამ 10—12 წლის წინად რამდენმამე განათლებულმა ახალგაზდა კაცმა, შვეიცარიისა და საფრანგეთის სოფლელთა სინდიკატებით გამხნევებულთ, დაიწყეს სოფლებში ქადაგება, რომ გლეხს, უკეთესს მერმისის მოლოდინში, ეხლაც შეუძლიან რითმე უშველოს თავისს საქმეს და უკეთესად მოაწყოს ცხოვრებაო. გულ-მოდგინეთ დაიწყეს ამ კაცებმა ლაპარაკი და წერა; შეუდგნენ უფასო და მეტად იაფ-ფასიან წიგნაკების გამოცემას ხალხურ ენაზედ; მერე გაზეთიც გაიჩინეს, ხოლო ხუთის წლის შემდეგ ამ ერთს მეორე გაზეთიც მიუმატეს. ყველა ამას გლეხისათვის, სოფლის მუშისთვის აკეთებდნენ.

ამ წიგნაკებსა და გაზეთებში უხსნიდნენ ხალხს, როგორ უნდა საზოგადო სარძევეების კამართა, საზოგადო ბოსტნების მოწყობა, სად და რა გვარად შეუძლიან სოფლის საზოგადოებას გაასაღოს ამ დაწესებულებათა ნაწარმოებნი; ურჩევდნენ საზოგადოებებს ერთად შეეძინათ სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მიწის სასუქი, თესლი, სამანუფაქტურო და სხვა საქონელი. მაგრამ უმთავრესი მაინც ის იყო, რომ აღმოჩნდნენ კაცები, რომელნიც პრაქტიკულად შეუდგნენ ყველა ამის განხორციელებასა და სისრულეში მოყვანას. პირველ სამ-ოთხ წელიწადს საქმე წყნარად მიდიოდა, და 1893 წლისათვის მთელ ბელგიაში ითვლებოდა:

| | |
|---|---|
| სამეურნეო კავშირი . . . . | 2 |
| კოოპერატიული საზოგადოება. . . | 10 |
| ასეთივე სარძევე . . . . . . | 18 |
| სამეურნეო კასსა . . . . . . | 1 |
| საქონლის ურთ-ერთ დამზღვევი საზოგადოება . . . . . | 41 |
| სინდიკატი . . . . . . . . | 10 |

ასე იყო პირველ ხანს. მაგრამ საქმე დაწყებული იყო. ხალხმა ხმა ამოიღო. სარგებლობა ყველასათვის აშკარა იყო. არ გასულა ბევრი ხანი, რომ მთელ სახელმწიფოში გლეხობა გასაოცარის გულმოდგინეობით შეუდგა დასახელებულ საზოგადოებათა დაარსებას და მოწყობას. მშრალი ციფრები უფრო კარგად დაარწმუნებს მკითხველს და დაანახვებს, რა გააკეთა გლეხობამ ბელგიაში თავისს სასარგებლოდ.

სასოფლო კოოპერატიულ დაწესებულებათა განვითარება 1893 წლიდგან:

| | 1894 წ. | 1895 წ. კავშირი: წევ. რიც. | 1896 წ. კავშირი: წევ. რიც. |
|---|---|---|---|
| სამეურნეო კავშირი იყო . . | 53 | 149—23,173 | 150—23,735 |
| კოოპერ. საზოგად. | 75 | 177—6,817 | 189—7,108 |
| მებაღეთა საზოგ. | 90 | 135—16,058 | 136—18,461 |
| სამეურნეო კასსა | 4 | 36—1,160 | 90—2,852 |
| საზოგად. სარძევე | 18 | 69—3,501 | 118—9,890 |
| სინდიკატი . . | | 337—26,726 | 469—38,487 |

მთავრობის მიერ ოფიციალურად გამოცხადებული რომ არ იყოს, იმდენად გასაოცარია ეს ციფრები, რომ კაცი არც-კი დაიჯერებდა. განსაკუთრებით გასაოცარია სინდიკატთა და საზოგადო სარძევეების გამრავლება. პირველთა რიცხვი (სინდიკატი მრავალ ნაირია: აარსებენ სინდიკატებს მანქანების შესაძენად, საქონლის საკვების შესაძენად, თესლებისა, სასუქისა და სხვათა) 1899 წლის პირველ იანვრისათვის იყო 602, რომელთაც 48,747 წევრი ჰყავდათ. იმათი თანხა 12 მილიონ ფრანკამდე ადიოდა. მაგრამ რძის წარმოების საქმემ ყველაფერს გადააჭარბა. 1893 წელს სულ 18 კავშირი იყო, 1899 წელს-კი — 269 კავშირი და 24,519 წევრი. ამ კავშირებს ერთად 71,443 ძროხა ჰყავთ.

85 ასეთ სარძეო კავშირის საქმეებს ორთქლის მანქანებით აწარმოებენ. ყველა კავშირებმა ერთად გაჰყიდეს 1898 წელს:

| | | |
|---|---|---|
| ერბო . . . . | 12,507,614 | ფრანკისა |
| ყველი . . . . | 116,852 | „ |
| რძე . . . . . | 125,372 | „ |
| სხვა ნაწარმოები . | 52,947 | „ |
| სულ | 12,802,785 | ფრანკისა. |

სარძევეები უმეტესად შვეიცარიულ სისტემაზედაა გამართული. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ შვეიცარიაში, სადაც დღემდე საძოვრებისა და ტყეების საზოგადო, სათემო (общинное) მფლობელობაა, საქმე უფრო მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული.

ვისაც ცოტას ხნობით მაინც უცხოვრია შვეიცარიის რესპუბლიკის პატარა ქალაქებსა და სოფლებში, ის უეჭველად შეამჩნევდა პატარა სუფთა შენობას, სადაც დედაკაცებსა და ბავშვებს დღეში სამჯერ რძე

ზოგადოების თანადასწრებით, ქართულის დასის არტისტებმა განსვენებულის გვამი ხელით გამოასვენეს; სასახლის ქუჩაზედ, სათავად-აზნაურო თეატრის პირდაპირ კუბო შეაჩერეს და პანაშვიდი გარდაიხადეს. შემდეგ ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში წაასვენეს, სადაც წირვა და პანაშვიდი იქმხა გარდახდილი. აქ იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ ეკკლესიასა და მის გალავანში ტევა აღარ იყო. ეკკლესიიდგან გასვენებულის გვამი არტისტ ქალებმა გამოასვენეს და შემდეგ მოსწავლე ახალგაზრდობას მიჰქონდა კუბო კუკიის სასაფლაომდე. გასვენებულის საფლავზედ ქართულის დრამატიულ საზოგადოების დასის სახელით არტისტმა ვლ. ალექსი-მესხიშვილმა გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა. განსვენებულის კუბოს მრავალი გვირგვინებიამკობდა: ქართულის დრამატიულ საზოგადოებისაგან, ქუთაისისა და ტფილისის ამხანაგ არტისტებისაგან, სომეხ არტისტებისაგან, ქართველ ქალებისაგან და სხვა. დასაფლავების შემდეგ განსვენებულის ძეგლის ასაგებად 40 მანეთზედ მეტი ფული შეაგროვეს. ძეგლის აგების საქმეს თავობს ქართული დრამატიულ საზოგადოების გამგეობა, რომელიც იღებს შემოწირულობას ამ საქმ სათვის. იმედია, ჩვენი საზოგადოება არ დაიშურებს თავისს წვლილს და ძეგლის აგებით უკვდავ ჰყოფს კნეინა ბარბარე ავალიშვილის სახელს.

# უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** საფრანგეთის ერის თანაგრძნობა და აღტაცება პრეზიდენტის კრიუგერის მოგზაურობისა და მისსიის გამო ახლა გერმანიის ერს და გზად ბელგიელთ გადაეცა. ბელგიელთა აღტაცებამ იქამდის მიაღწია, რომ ერკლეიხსა და მარლბრუგში პოლიციამ ხალხი ვეღარ შეამაგრა და იძულებული შეიქმნა თითქმის ამ ხალხის ზღვას შეერთებოდა... გერმანელნიც ისრევე თანაგრძნობით მიეგებნენ, როგორც ფრანგები, მაგრამ მხოლოდ გერმანელნი, ე. ი. ერი გერმანიისა, რადგანაც მთავრობას არ უნდა ინგლისს გული ატკინოს. დაივიწყა გერმანიის იმპერატორმა ის თანაგრძნობა, რომლიც 1896 წელს გამოუცხადა ბურებს, დაივიწყა აგრეთვე პასუხი შარშანდელი, რომ გერმანია სიამოვნებით დაუჭერს მხარს ბურებს, თუ რომ შუამდგომლობაზედ საფრანგეთი და რუსეთი თანხმობას განაცხადებენო; დაივიწყა ყოველივე ეს, რადგანაც ახლა გერმანია ინგლისთან არის შეთანხმებული და ეშინიან საქმე არ წაახდინოს და იმპერატორი ვილჰელმის კარის-კაცებმა ცივი უარი შეუთვალეს კრიუგერს, რომ იმპერატორი ვერ გინახულებთ, რადგანაც სადიპლომატო წესი—სახახავად წამოსვლისა— არ დაიცავით და აღრევე არ გვაცნობეთ, თუ ჩვენს ნახვას ისურვებდითო... ამის გამო უცხოეთისა თუ რუსული დიდი გაზეთები, ყველა განცვიფრებულია და უსაყვედურებენ გერმანიის მთხელთ, რომ ასეთი მომიზეზება დასჭირდათ და ძალად უნდათ ინგლისელებს თავი შეაყვარონ. როგორც ერთი გერმანული გაზეთი სწერს, კრიუგერს ისე ძლიერად სწყენია ეს უარის მიღება იმპერატორისაგან, რომ უტირნია... მაინც კრიუგერი იმედს თურმე არ ჰკარგავს, რომ ვილჰელმის უნახავი დარჩება და ახლად ოფიციალურად უცნობებია, რომ ნახვა ჰსურს, რის პასუხიც უთუოდ ამ ორ-სამს კვირაში უნდა მიიღოს. მაგრამ ეს არაფერი. საქმე ის არის, ხალხი ვის თანაუგრძნობს: მთავრობას, თუ კრიუგერსა და მისს წმიდა საქმეს და ინგლისელთა უსამართლო მოქმედებას ერის სინიდისი რა მსჯავრსა სდებს? ამ მხრივ-კი ბურების საქმე ჯერ-ჯერობით მოგებულია, თითონ გერმანიის საზოგადო მოღვაწეთა შორის აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელთაც პირდაპირ საყვედური გამოუცხადეს კანცლერს, რომ ბურების საქმის ვითარება ასე ცუდად ჩაუგონებია იმპერატორისათვის... გერმანიის მრავალი ჟურნალ-გაზეთიც ამსვე უსაყვედურებს მთავრობას, რომ იგი ერის ნამდვილს წადილს, სურვილსა და თანაგრძნობას განგებ სწქმალავს და ეწინააღმდეგება. სამაგიეროდ, თუ გერმანია ასე შორს იჭერს საქმეს, ჰოლლანდიის თანაგრძნობას საზღვარი არა აქვს და ამას არცა ჰმალავენ; პირ-იქით მთავრობა პირდაპირ ამედებს ბურებს, რომ მედიატორეთა სამართალს უთუოდ გამოითხოვენ. ამერიკაც დიდის ამბით თურმე უპირებს მიღებასა და ახლა მზადებაში არიან. როგორც საზღვარ-გარეთის გაზეთები იწერებიან, კრიუგერს განზრახვა თურმე აქვს ინახულოს: ავსტრია, უნგრეთი, ამერიკა და რუსეთი, რომლისაც დიდი იმედი თურმე აქვს. მაგრამ ყველაზედ უკეთესად ეს თანაგრძნობა ისევ საფრანგეთმა და მისმა ერმა გამოჰხატა. მთელის საფრანგეთის ერის თანაგრძნობა ბურებისკენ არის; ყველა სულით და გულით მოწადინებულია, რომ ბურების დამოუკიდებლობა ხელშეუხებლად დარჩეს: თანაგრძნობის ადრესები, ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული წერილები, მოწოდებანი და სხ. ყველა ეს ნათლად ამტკიცებს, რომ ერი ბურების მხარეზეა. მეორე მხრივ, საფრანგეთის პალატაში დეპუტატების მიერ ერთხმად გამოთქმული თანაგრძნობა დეპუტატის დენის წინადადებით, ლუბეს მიერ ზრდილობიანად და თანაგრძნობით კრიუგერის მიღება და მრავალი სხ. უტყუარი საბუთია იმისა, რომ, როგორც-კი დრო და გარემოება მოითხოვს, საფრანგეთის ერის გულის ნადებს თვით მისი მთავრობაც ხმამაღლა აღიარებს და შუამდგომლობას გასწევს, რომ ბურების მართალს საქმეს გაემარჯვნოს. ამასვე ამტკიცებს ის თავგამოდებული თანაგრძნობა, რომელსაც საფრანგეთის მამულის შვილნი ბურების საქმეში იჩენენ. აი, მაგალითად, ცნობილმა საფრანგეთის საზოგადო მოღვაწემ ბ-ხმა როშფორმა „Intransigeant“-ში წერილი დაჰბეჭდა, რომლითაც იგი ევროპისა და ამერიკის ყველა ჟურნალ-გაზეთებს იწვევს, რომ ამათ ხელი შეუწყონ და საზოგადოება ბურებისადმი თანაგრძნობისათვის კონფერენციაზედ (კრებაზედ) დასასწრებად მოიწვიონ, რომელიც ჰოლლანდიისა, ბელგიისა, ან-და შვეიცარიაში მოხდება. კონფერენციას აზრად ექმნება მთელს დედამიწის ზურგზედ საერთაშორისო ხელის-მოწერა გამართოს და ეს ფული შემდეგ ბურების საქმეს მოახმაროს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

ამოკრებილი ამბები

ამერიკაში ამ რამდენისამე წლის წინად გამართეს ერთი ფერმა სირაქლემის გასაშენებლად. ფერმაში ხშირად დადიოდა ვინმე ფრანცი. ფრანცს ძალიან აინტერესებდა სირაქლემა და ამიტომ შეუდგა ამ ცხოველის ხასიათისა და ზნე-ჩვეულების შესწავლას. შემდეგ იყიდა წყვილი სირაქლემა და დაუწყო წვრთნა: უნდა მიეჩვია ურმის ზიდვას. საქმე მეტად ძნელი აღმოჩნდა. რამდენიმე წელიწადი მოუნდა, ვიდრე სირაქლემებს მიაჩვევდა ურმის ზიდვას, მაგრამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა. ფრანცმა გააკეთა განსაკუთრებული ურემი და იმით ეხლა არხეინად დასეირნობს. სირაქლემები ისე ჩქარა დაარბევინებენ ამ ურემს, რომ ცხენიც-კი ვერ უსწროფთ თურმე.

* * *

ველურმა ხალხებმა მიცვალებულის გამოგლოვება სხვა-და-სხვა ნაირად იციან. საერთო ყველას ისა აქვთ, რომ, როგორც დიდს სიხარულს, ისე დიდ მწუხარებას ხმა მაღლა, ყვირილითა და ღრიალით აცხადებენ. ამ ხმა მაღალის ყვირილითა და ღრიალით არა მარტო გულს იმშვიდებენ, არამედ გარდაცვალებულთა სულის ძოლბოპასა და მობირებასაც სცდილობენ, რადგანაც ველურნი დარწმუნებულნი არიან, რომ მიცვალებულის სულს შეუძლიან ნათესავთ ბოროტი ან კეთილი მიაყენოს. ზანგები ნათესავის სიკვდილის დროს პირველ ხანს მეტად დიდსა და ხმა მაღლა მწუხარებას ეძლევიან, მაგრამ შემდეგ დამარხვის დროს ეს მწუხარება მხიარულ დროს გატარებად გარდაიქცევა ხოლმე. ამერიკელი ინდიელნი მარტო ტირილს არა კმაყოფილდებიან, ისინი, განსაკუთრებით ქალები, ხშირად ტანსა და სახესაც იმახინჯებენ. ასევე იქცევიან ავსტრალიის კუნძულების მცხოვრებნი. როტუმის მკვიდრნი, მაგალითად, წამწვეტებულის ძვლით შუბლსა და ლოყებს იკაწრავენ. დედაკაცები ხშირად ნეკსაც იჭრიან ხოლმე. ნეკს იჭრიან აგრეთვე ტონგოს კუნძულის მცხოვრებნი. მარიინის კუნძულებზედ ჭირისუფალნი ანტვრევენ, ანადგურებენ თავიანთ საკუთარ ნივთებსა და ქონებას, ზოგჯერ სახლსაც-კი ცეცხლს უკიდებენ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 ნოემბერი

**პეტერბურგი.** „პრავიტ. ვესტნიკი“ იუწყება, რომ 11 ნოემბერს გირინში ციმბირის მეორე კორპუსის სარდალთან გენერალ-ლეიტენანტ ბარონ კაულბარსთან მივიდა ჩაპიროუს მფლობელი ხაიდენჩიუ და მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისადმი მორჩილება გამოაცხადა. ხაიდენჩიუმ აღუთქვა, ერთი, კვირის შემდეგ ჩვენს ხელში დარჩენილს იარაღს გადმოგცემთო.

**ლონდონი.** ბლუმფონტენიდგან იუწყება კიტჩინერი, რომ, როგორც მზვერავი რაზმები იტყობინებიან, დევეტის რაზმი ოდენდალდრიფტიდგან აღმოსავლეთისა თუ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ წასულაო. ნოქსი კვალ-და-კვალ მისდევს, რომელმაც ერთი ზარბაზანი და ერთი ფურგუნი წაართვაო, სამხედრო სურსათით სავსე. დევეტსდორპთან ტყვედ წაყვანილი ინგლისელები, აფიცრების გარდა, ყველანი გაანთავისუფლეს ბურებმა. მაკდონალდი უკვე წავიდა ალივალნორტში, რათა იქაურის ჯარის უფროსობა ჩაიბაროს. მტრის ასმა კაცმა ცხენოსანთა მცირე რაზმზე იერიში მიიტანა; რაზმი მაშველი რაზმის მისვლამდე მტრის იერიშს გაუმაგრდა. ბურენი გაიქცნენ და ბრძოლის ველზე ერთი მოკლული დასტოვეს. ინგლისელებს ზარალი არ მისცემიათ.

**სოფია.** როგორც ხმა ისმის, რადოსლავოვს კაბინეტის შედგენაზედ

---

მიაქვთ. ეს შენობა თემის სარძევე და ყველის საკეთებელია. იქა სცხოვრობს ძლიერ ყველის მკეთებელი, დაქირავებული თემის ძიერ ან თავისს მოოის არჩეული. იგი დაბეჭდილ წიგნში სწერს სოფლელთა ძიერ მოტანილ რძის რაოდენობას, ამასვე ჰნიშნავს თვითეულ მომტანის წიგნაკშიაც. მთელის სოფლის რძის ნაწილს ჰყიდის იმათზედ, ვინც მოისურვებს, დანარჩენისაგან ამზადებს ერბოსა და ყველს. ამ ერბოსა და ყველს სულ ერთიან ჰყიდიან და დანიშნულ დროს ფულს უყოფენ სოფლელთ. აღებულს ფულს ჯერ ჰყოფენ იმდენად, რამდენი ვედრა რძეც გაიყიდა; ასე იტყობენ, ვედრა რა ფასში გავიდა; შემდეგ იმისდა კვალობაზედ, ვის რამდენი ვედრა რძე წარუდგენია, ანაწილებენ ფულს. ზოგიერთ სოფელში ყველს სულ ერთიან არა ჰყიდიან, ნაწილს სტოვებენ და შეტანილ რძის რაოდენობის მიხედვით თითო კომლი იღებს ერთ, ორს ან სამ კვერეულს. გაზაფხულიდგან თითქმის შემოდგომის გასვლამდე-კი, როდესაც ამწვანდება ხოლმე თვალ-წარმტაცი გორები და როდესაც მთელის სოფლის საქონელს თემის გამგენი მიერეკებიან საერთო იალაღზედ,—ძროხებს სწველიან, იტყობენ თითოეულ ძროხის რძის რაოდენობას, ანგარიშს ეწევიან, ყველს აკეთებენ თვით მწყემსები, რომელნიც თავის ძროხებთან ერთად მხოლოდ გვიან შემოდგომაზედ ბრუნდებიან სოფელში...

მცირე მიწიან ბელგიაში სათემო ელემენტი ხსენებაში აღარც-კია და რძის კავშირებს აზრად მხოლოდ საერთო წარმოება და აღებულ ფულის გაყოფა აქვთ. ესეც-კია, თვით ცხოვრებამ აიძულა ბელგიელნი გამოეძებნათ რამ თემის მაგვარი. სხვათა შორის, რუსეთის მარქსისტებმა, იმავე ენგელსის მიბაძვით, ერთი ალიაქოთი ასტეხეს თემის წინააღმდეგ, რაშიაც ერთ-სულობა და ერთაზრობა გაუწიეს იმათ, ვინც გლეხობის უმიწოდ განთავისუფლებას თხოულობდა. აქ-კი, ამ უძლიერესს ინდუსტრიის სახელმწიფოში, საუკეთესო კაცნი ცდილობენ, ყოველ ღონესა ხმარობენ, რომ რითმე შეავსონ ადმინისტრატიულად დაქცეული თემი. ასეთი დაწესებულებაა ახლად შემდგარი ყველა სარძევეთა ასოციაცია („l'Association des laiteries generales Belges“). ამ ასოციაციის პროექტი, კოლიარ ბოვის მიერ შემუშავებული, მოიწონა სარძეო კავშირთა კრებამ და მთავრობაც გულმხურვალედ შეუდგა იმის განხორციელების საქმეს.

„ასოციაციის გამგეობა, მთავრობის დახმარებით, მოაწყობს სატახტო და პროვინციალურ ქალაქებსა და დაბებში საზოგადო ნაწარმოებთა გასაღების საქმეს; მოაწყობს აგრეთვე ამ ნაწარმოების საზღვარ-გარეთ გაზიდვის საქმესაც. მაგრამ ვაჭრობის გარდა გამგეობა მეტად დიდ ყურადღებას აქცევს თვით წარმოების განკარგებასაც, ჰმართავს კონკურსებსა და გამოფენებს და, რაც უმთავრესია, მოძრავის სკოლების წყალობით ავრცელებს სამეურნეო სწავლა-ცოდნას.

შესანიშნავი რამეა ეს მოძრავი სკოლები. პირველად, რამდენადაც ვუწყით, ასეთი სკოლები ამ 60 წლის წინად გაჩნდნენ ნორვეგიაში, სადაც იმის წყალობით, რომ მცხოვრებნი გაფანტულად სცხოვრობენ, პატარა სოფლის რამდენსამე კომლს არ შეეძლო საკუთარის სკოლის შენახვა. ამიტომ ასეთი პატარა სოფელი მუდმივ სკოლის ნაცვლად დროებით მასწავლებელს იწვევდა. ასწავლიდა რა მასწავლებელი ბავშვებს წერა-კითხვასა და პირველ დასაწყის არითმეტიკასა და გეოგრაფიას, მეზობელ სოფელში გადადიოდა. ზოგჯერ წასულ მასწავლებლის ადგილას სხვა მოდიოდა, უმეტეს ნაწილად-კი ძველივე ბრუნდებოდა და განაგრძობდა სწავლას. აი ამ მოძრავ სკოლათა სისტემა შემოიღეს კანადაში სოფლის მეურნეობის საქმეში. კანადის მთავრობა ჰგზავნის პატარა სოფელში ტეხნიკოს-ყველის მკეთებელს—უმეტეს ნაწილად ახალგაზდა და მხნე კაცს. ეს ტეხნიკოსნი ჰმართავენ, როგორც შვეიცარიაში, საზოგადო სარძევეებსა, ერბოსა და ყველის საკეთებლებს; ასწავლიან წარმოებას ადგილობრივ მცხოვრებთ, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, და როდესაც ამათგან თავიანთ მოადგილეებს მოამზადებენ, სხვა სოფელში გადადიან. თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან ასეთ სატეხნიკო მოძრავ სკოლებს, სჩანს იქიდგან, რომ მცირედ დასახლებულ და სუსხიან კანადიდგან ჯერ ისევ 1895 წელს გატანილ იქმნა 14,253,002 დოლლარის (დოლლარი ორ მანეთამდეა) ყველი, ხოლო ერბო, რძე და კვერცხი—24,329,684 დოლლარისა. სულ კანადაში 5 მილიონი მცხოვრებია, ამ რიგად თითო მცხოვრებზედ გადატანილ საქონლისა 5 დოლლარი მოდის.

აი ასეთი მოძრავი სკოლები არსებობს ეხლა ბელგიაში რძის წარმოებისათვის. მაგრამ განა მარტო ამ წარმოებას საჭიროობს გლეხობა? და განა მარტო ბელგიაშია ასეთი საჭიროება? განა მეღვინეობასა, მეაბრეშუმეობასა, მეთამბაქოობასა, სხვა-და-სხვა ხელოსნობას-კი არ უნდა ასევე მოწყობა? განა ყველა ეს აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს ჩვენის გლეხობისათვის, საზოგადოდ სოფლის მცხოვრებთათვის? ან იქმნება ამ გვარი საქმის მოწყობა ძნელი და შეუძლებელი იყოს.

რასაკვირველია შრომა დიდი და სისტემატიური უნდა, მაგრამ განა შრომა თვით ცხოვრება არ არის? რაც შეეხება ხარჯს, მერწმუნეთ, ჩვენი სალხიც შესძლებს ასეთის საქმისათვის ხარჯის გაძლოლას. ისიც, როგორც შვეიცარიისა, კანადისა და ბელგიის გლეხობა, მოახერხებს საერთო, საზოგადო წარმოებას და მოაწყობს თავისს ნაწარმოების გასაღების საქმეს, შესძლებს მევახშეთაგან დამცველ ამხანაგობათა დაარსებას და ყველა იმის გაკეთებას, რასაც დასახელებულ ქვეყნების გლეხობა აკეთებს. საჭიროა მხოლოდ საუკეთესო კაცებმა სცნონ, რომ გლეხობა ყველგან საძირკველია, საფუძველია საზოგადოებრივობისა. ღარიბია და ბნელით მოცული იგი, ღარიბი და საბრალოა თვით საზოგადო ცხოვრებაც. გაანათლეთ ხალხი, დაეხმარეთ ეკონომიურ თვით-მოქმედებისათვის ფეხის ადგმის დროს, და ჰნახავთ, რომ თვით თქვენი საკუთარი ცხოვრება უფრო მდიდარი და ბედნიერი შეიქმნება...

ვ. მარველი

უარი უთქვამს, ამის გამო კაბინეტის შედგენა ახლა გრეკოვისათვის მიუნდვიათ.

**ალივალნორტი.** სტეკსპრუიტთან ბრძოლის შემდეგ დევეტი სამხრეთისაკენ წავიდა, 22 ნოემბერს იგი მდ. კალენდოს და ოდენდალის ფონისაკენ გაემართა, მაგრამ რაკი ნახა, რომ გასვლა შეუძლებელი იყო, აღმოსავლეთისაკენ გაუხვია და მდინარე ორანჟეს ჩრდილოეთით გასწია. დევეტი ალივალიუდგან 15 მილის სიშორეზედ მივიდა და აქედან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ შეუხვია, რუკსვილისაკენ. ნოქსი კვალ-დაკვალ სდევნის. ინგლისელთა მოწინავე ჯარი მდ. კალედონთან დევეტის უკანა ჯარს შეეხეჩა და ცხრა გირვანქიანი ზარბაზანი და 35,000 სროლა ტყვია-წამალი წაართვა. კალედონი იქამდის მოდიდებულია, რომ ფურგუნების გატანა შეუძლებელი იყო; ზარბაზნებისა და სათოფე მასალის გატანა ძლივს მოახერხეს. დევეტის ჯარები მოქანცულია; სმიტსფილდრიფტსა და მდ. ორანჟეს შორის მდებარე გზაზედ ინგლისელებმა 300 მკვდარი და მომაკვდავი ცხენი ნახეს. ინგლისის ჯარები მდინარის მეორე მხარეზედ გავიდნენ უბარგოდ, ასე რომ სანოვაგეს მოკლებულნი არიან, მაგრამ იმედი აქვთ მცხოვრებთა შორის მოიპოვებენ.

**ვოლსკოვი.** მიურისა და მერელიზის მაღაზიაში ცეცხლი გაჩნდა სარდაფის სართულში, სადაც ელექტრონის მაშინები იდგა. რუსეთის საზოგადოებაში 950,000 მანეთად დაზღვეული საქონელი სულ დაიწვა, დანარჩენი გაფუჭებულია. სამ სართულიანი სახლი იქვეა 450,900 მანეთში დაზღვეული.

**ლონდონი.** კიტჩენერის დეპეშა ბლუმფონტენიდგან: „ნოქსი იტყობინება რუკსვილიდგან, რომ დევეტის რაზმმა, უნაყოფო იერიშისა და ცდის შემდეგ კომასის ხიდზედ გასასვლელად, რომელსაც ინგლისის ჯარი იცავს, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ დაიწია და ადგილობრივ 500 ცხენი და ფურგონი დასტოვა. დევეტი ცდილობდა, რომ ინგლისის ჯარი გაერღვია და კაპის ახალშენში გადასულიყო, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა. ჩვენ ყოველ მხრიდგან ვავიწროვებთ“.

**კაპშტადტი.** რობერტსი აქ მოვიდა.

**გააგა.** დედოფალმა ვილჰელმინამ დღეს მიიღო კრიუგერი, რომელსაც თან წარჩინებულნი მოჰყვნენ; კრიუგერს სასახლეში ლეიდსი უცდიდა. აუდენციას ლეიდსი არ დასწრებია.

**კიევი.** საბჭოს დარბაზში გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის განკურნებისათვის. პარაკლისს დაესწრნენ: გუბერნატორი, გამგეობის წევრნი, ხმოსნები და თვით-მმართველობაში მსახურნი. სახსოვრად ამ სამხიარულო ამბისა, საბჭომ დაადგინა გადაიდოს: 2000 მან. საქველმოქმედო საზოგადოების სამკურნალოსათვის, 1500 მან. მხედართ გაჭირვებულ ოჯახთა დამხმარებელ საზოგადოებისათვის აფიცრების შვილების აღსაზრდელად, ხუთასი მანეთი ქალაქის მკვიდრთა საავადმყოფოს სასარგებლოდ და 1000 მან. თავშესაფარისათვის სახლის დასაქირავებლად და ორი ახალ სამკურნალო ადგილის დასაარსებლად. ამასთანავე დაადგინეს უქვეშევრდომილესად წარედგინოს ხელმწიფე იმპერატორს ადრესი, რომელშიაც გამოცხადებულ უნდა იქმნას გულითადი სიხარული და განუსაზღვრელი უქვეშევრდომილესი გრძნობანი კიევის მცხოვრებთა. დადგენილება დამსწრეთ აღტაცებულ „ურა“-ს ძახილით მიიღეს.

**პეტერბურგი.** 25 ნოემბერს იდღესასწაულეს 30 წლის სალიტერატურო მოღვაწეობა რედაქტორის ნოტოვიჩისა. იუბილიარს საკუთარ ბინაზედ მიულოცეს: ბეჭდვითი სიტყვისა და თეატრის წარმომადგენლებმა, ნათესავებმა და მრავალმა პატივისმცემელმა. დღესასწაულს შინაური ხასიათი ჰქონდა. მიმლოცველთა მიმართ იუბილიარმა სიტყვა წარმოსთქვა. ო. კ. ნოტოვიჩს მრავალი ძვირფასი საჩუქარი მიართვეს. დღისით მიიღო წერილებით მილოცვა სერბიისა, ბოლგარიისა, იაპონიისა და სპარსეთის ელჩებისა და საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულისაგან. საღამოს იუბილიარს რკინის, გზის საკრებულო დარბაზში ნადიმი გაუმართეს. პატივსაცემი დღესასწაული დაიწყეს ადრესის წაკითხვით, რომელთა რიცხვიც ხუთასამდე იყო და გამოუგზავნიათ სხვა და-სხვა დაწესებულებათა, საზოგადოებათ, უცხოეთის და რუსეთის ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელთ და ნოტოვიჩის პატივის-მცემელთა. შემდეგ მუსიკალურ-დრამატიულს საღამოზედ მონაწილეობა მიიღეს საიმპერატორო ოპერისა და დრამატიული სცენების არტისტებმა: ცოლ-ქმარმა ფიგნერებმა, ლინსკაიამ, დავიდოვმა, დოლმატოვმა, ტარტაკოვმა, აუერმა, ვერჟბილოვიჩმა და სხვებმა. მხიარული ნადიმი შუაღამემდე გაგრძელდა.

26 ნოემბერი

**ლივადია.** 26 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე და წუხანდელი ღამე კარგად გაატარა; ტემპერატურა და მაჯა ნორმალური აქვს. ძალღონის მობრუნება და ავადმყოფობისაგან განთავისუფლება ნორმალურად მიმდინარეობს. ავადმყოფი წონაში მატულობს ავადმყოფობისაგან დასუსტებულმა ორგანოებმა ნორმალური სახე მიიღეს. ლეიბ-ქირურგი გირში; საპატიო ლეიბ-მედიკი პოპოვი; ექიმი ტიხონოვი.

**გააგა.** მინისტრ პრეზიდენტი პირსონი და გარეშე საქმეთა მინისტრი ბოფორი კრიუგერთან იყვნენ ნახევარ საათით სადარბაზოდ, შემდეგ კრიუგერმა სოლინგენის დეპუტაცია მიიღო, რომელმაც პრეზიდენტს საპატიო ხმალი მიართვა.

27 ნოემბერი

**ლივადია.** 27 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორმა წარსული დღე და ღამე უოველმხრივ კარგად გაატარა; მადა და ძილი კარგი აქვს; ტემპერატურა და მაჯა — ნორმალური. ლეიბ-ხირურგი გირში; საპატიო ლეიბ-მედიკი პოპოვი; მკურნალი ტიხონოვი.

**ბერლინი.** გააგის საერთაშორისო სამედიატორო მედიატორეთა სამართლის წევრებად გერმანიის მხრივ დანიშნულ იქმნენ: საიმპერატორო სასამართლოს პრეზიდენტი ბინგერი, გარეშე საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრი — მომხსენებელი ფონ ფრანციუსი, უმაღლეს საადმინისტრაციო სასამართლოს წევრი ფონ-მარტიცი და გეტტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი ფონ-ბარი.

**პეკინი.** რადგანაც საფრანგეთის ელჩმა პიშონმა შეიტყო, რომ ინდოეთ-ჩინეთის საზღვარზედ ჩინელებს დიდძალი იარაღი შემოუტანიათ და ჯარები ჩაუყენებიათ, ამის გამო პიშონმა ცინსა და ლიხუნგჩანგს წერილი გაუგზავნა, რომლითაც სთხოვს, რომ უოველსავე ამას ბოლო მოუღოს; წინააღმდეგს შემთხვევაში საფრანგეთი იძულებული იქნება თავისი საზღვრები იარაღით დაიცვას და ამ უსაძლურ თავდასხმას ბოლო მოუღოსო. გარდა ამისა, წერილში ნათქვამია, რომ ორისავე ქვეყნის სარგებლობა მოითხოვს მოსალოდნელი უკმაყოფილება თავიდგან აცილებული იქმნასო. ელჩები ორშაბათს შეიკრიბებიან, რომ ცინის და ლიხუნგჩანგის რწმუნებათა შესახებ შეთანხმდნენ; ზოგიერთა ელჩები იმ აზრისანი არიან, რომ მათ მიერ მიღებული მინდობილობანი საკმაოდ სარწმუნონი არ არიან, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკება დაიწყონ, რაიცა დიდს ხანს აღარ დაიგვიანებს.

**იოჰანესბურგი.** ყველა სამსახურში გამოსადეგი ინგლისელი ქვეშევრდომი სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაჰყავთ. იოჰანესბურგს გარშემო თითქმის სულ ეკლესიანი მავთული შემოავლეს: დარჩენილია სულ ხუთი გასავალი; მცხოვრებთაგან არავის შეეძლება მტერს სურსათი აძლიოს. ქალაქის მიდამოებიდგან მცხოვრებლებს დღემდის ისევ ერეკებიან; ამ დღით ასობით ქალი და ბავშვი მოდის ქალაქში და სადღე მოედანზედ იკეთებს ბინას.

**პეკინი.** ტაკუდგან იუწყებიან, რომ გარეთი ნავთსადგური უკვე გაიყინა და 60 ხომალდი ყინულში ჩარჩაო.

**გააგა.** ლონდონში მყოფმა ნიდერლანდელმა ელჩმა აუწყა, თავისის მინისტრის მინდობილებით, ადგილობრივს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ნიდერლანდიის მთავრობა უარ-ჰყოფს უოველგვარს პასუხისგებას იმ ეპისტოლის გამო, რომლითაც პირველის პალატის პრეზიდენტმა 23 ნოემბერს პრეზიდენტს კრიუგერს მიჰმართა.

**პეკინი.** იმ დროს, როდესაც ჩინეთის რწმუნებულნი ამდღით აიმედებენ სახელმწიფოებს, რომ ძალადობისა და უწესობის წინააღმდეგ, რაც-კი შესაძლებელია, უოველსავე ღონისძიებას ვხმარობთო, თითქმის პეკინშიაც-კი უოველ დღე მრავალს ჩინელს აპატიმრებენ იმისა გამო, რომ დაფარულად იარაღს ატარებენ. ადგილობრივნი მცხოვრებნი ამბობენ, რომ 3 დეკემბრისათვის ევროპიელთა წინააღმდეგ ახალი ამბოხებაა დანიშნულიო. ეს ხმა არავის არ აშინებს, რადგანაც პეკინში მყოფი ევროპის სახელმწიფოთა ჯარი უოველგვარს ამბოხებას ადვილად მოსპობს, თუ კი ჩინელები თავისას არ დაიშლიან და აჯანყებას გადასწყვეტენო.

**დურბანი.** სადგურ ფლაკლაადის მახლობლად, სტანდერტონის პირდაპირ, ბურებმა მატარებელი შეაყენეს და 130 ცხენი წაასხეს, რომლებიც ინგლისის მხედრობისათვის მიჰყავდათ. ბურების მეორე ზაზმა კიდევ მრავალი საქონელი და ცხვარი წაართვა ინგლისელებსა და ფლაკლააგეში მირეკა.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუძღვნი ქ-ნს ტერეზია იმნაძისას, გოგიბერიძის ასულს, რომელმაც გვიმბარაულის წ-მ. გიორგის ეკკლესიას აღსავლის კარებისათვის კრეთსამბელი შემოსწირა, ღირებული ერთ თუმნად.

ბლაღოჩინი-მღვდელი ეპიფანე ჩხაიძე

—

გულითადს მადლობას ვუცხადებ ყველა იმათ, რომელთაც 21 ამა ნოემბერს ქვემო-ალვანის (თუშების) ახლად გახსნილს სამრევლო სკოლას შემწეობა აღმოუჩინეს. ფულით დახმარება აღმოუჩინეს: ბ მა ახმეტის ბოქაულმა 5 მან; მღდ. ნ. როსტომაშვილმა 5 მან., ბ-მა ინსპექტორმა ევტიმაშინაიშვილმა 3 მან., მღვდელ-მონაზონმა დავითმა 2 მან; ბ-მა ნიკ. მამინაიშვილმა 2 მან; მ. ხ. 2 მან, ნიკო მურთაზაშვილმა 2 მან., ალექ. კონკოვისამ 1 მან., დიაკ. ნ. ბაკურაძემ 1 მან., ბ. ონ. ჭიკაძემ 1 მან., ბ. მასწ. იმნაიშვილმა 1 მან., ბ. ვარდ. გოცირიძემ 1 მან., ბ. ანტ. თოიძემ 1 მან., თეკლე მურთაზაშვილისამ 1 მან., ივანე ბახტურიძემ 1 მან., ვასილ რაიხაულმა 1 მან., თომა ბუჩაშვილმა 1 მან., ეგნატე ანთაიძემ 1 მან., ივანე ბაცაიძემ 1 მან., გიგო ქადაგიძემ 1 მან., ნადი ელანიძემ 1 მან., გელო ტალიურმა 1 მან., იოსებ ანთაიძემ 1 მან., გოგია გესლაიძემ 50 კაპ., სვიმონ ბეროიძემ 40 კაპ., მიხეილ ცისკაროვმა 50 კაპ., ანთა თავბერიძემ 50 კაპ., ნიკო ოთურგაიძემ 50 კაპ. სოსო დალაქიშვილმა 50 კაპ. და უცნობთ 90 კაპ.

გარდა ამისა, დიდის მადლობისა და განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია ხირსში მცხოვრები თუში ნიკო მურთაზაშვილი, რომელმაც ჯვარბოსლისა და ილურთის საზოგადოებას ხელი შეუწყო და 500 მანეთზედ მეტით დაეხმარა.

ბლაღ. დეკანოზი მიხ. ხელაშვილი


# განცხადებანი

„წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის“ გამგეობა ამით აცხადებს

# პრემიებს

სალიტერატურო ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად. პირობები შემდეგია: 1) საპრემიოთ წარმოდგენილ ორიგინალურ თხზულებაზედ დანიშნულია ღირსების კვალობაზედ: **150 მან., 100 მან. და 50 მან.**; 2) პრემია შეიძლება მიეცეს ევროპის რომელიმე კლასსიკის თხზულების თარგმანშიაც, ხოლო თუ იგი გადმოღებულია პირდაპირ უცხო ენიდამ. აქაც სამნაირი ჯილდოა: **70 მან., 50 მან. და 20 მან.** ორივე შემთხვევაში (§§ I, II) უფრო სასურველია არა ვრცელი თხზულება.

შენიშვნა. თარგმანები არა პირდაპირ უცხო ენიდგან ან რუსის მწერალთა ნაწარმოებთა შეიძლება მხოლოდ პრემიის მიუცემლად დაჰბეჭდოს ამხანაგობამ თავის ხარჯით.

3) ყოველგვარი სალიტ. ნაწარმოები უნდა გამოეგზავნოს ამხანაგობას (ადრესი: Г. Кутаисъ, Кутаисск. книго-издат. Товарищ.) რაიმე დევიზის ზედ-წარწერით და დაბეჭდილი კონვერტით, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი. კონვერტი გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა წარმოგზავნილი ნაწარმოები ცნობილ იქმნება ჯილდოს ღირსად, 4) ვადა თხზულების გამოგზავნისა არის არა უგვიანეს 1 მარტისა 1902 წ.; 5) დაჯილდოვებულ თხზულების ავტორს პრემიის გარდა შეიძლება მიეცეს კიდევ გონორარი; 6) შედეგები კონკურსისა და აგრეთვე რეცენზია დაჯილდოვებულ თხზულებაზედ გამოცხადდება გაზეთებში; 7) ყოველი საპრემიოთ გამოგზავნილი ნაწარმოები კარგის ქართულის სალიტერატურო ენით უნდა იქმნეს დაწერილი; 8) პრემიები ეძლევა ავტორებს იმ ფულიდგან, რომელიც შემოუვა ამხანაგობას დაჯილდოვებულ წიგნის გასყიდვისაგან.

(10—6—6)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




## ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გმოვიდა კიდევ ახალი საშუალება

## „კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა — 2 მან; პატარა — 1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში — ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—13)

# ნამდვილი საგოლოო

# ვაჭრობა

საკერავ მაშინებისა მიასნიკოვის მაღაზიაში, ნიკოლაევის ხიდზედ, № 7 და 8.

**500**-ზედ მეტი სხვა-და-სხვა მაშინაა

ამერიკისა და გერმანიის საუკეთესო ქარხნებისა. რადგანაც გვსურს მოკლე ხანში გავყიდოთ ყველა ის საქონელი, რაც მაღაზიაშია, მეტად იაფი ფასი იქმნა დანიშნული. მაღაზიის მოწყობილება იყიდება. სადგომი ქირით იძლევა. (5—227—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го Ноября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე